ოქმი:**ო08. 3724082001**

თარიღი:**22/03/2024**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 20 მარტი
ქ.ოზურგეთი
13.30 -14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ალ. ღლონტი, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, დ. დარჩია, თ. ტუღუში, ლ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასფინანსებელი პროექტების განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: დავით გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები ქვეყნაში ხორციელდება რამდენიმე წლის მანძილზე, მიმდინარე წელსაც, მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე, გამოიკვეთა პრიორიტეტული პროექტები, ძირითადად შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაემატა შესაბამისი თანხები, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. შემდეგ კონკრეტულად გააცხო ისინი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია კი გააკეთა თანამომხსენებელმა დ.

გორდელაძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა შესყიდვების გეგმის შესრულებაზე(52 მილიონი ლარი), ჩატარებულ ტენდერებზე, გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, შემდეგ ისაუბრა კონკრეტულ შესყიდვებზე, განაცხადა, რომ სულ გამოცხადდა 120 ელექტრონული ტენდერი, აქედან 19 ჩავარდა და ჩატარდა განმეორებით. შესყიდვებში გაკეთდა 3 მილიონი ლარის ეკონომია. ისაუბრა განხილულ საჩივრებზე-1 დაკმაყოფილდა, ერთს უარი ეთქვა. უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1,2 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი